

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის აჩიკო ცირამუას მიერ 2022  
წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული სამუშაოს ანგარიში**

ჩემს მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს 2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეულ  
სამუშაოს. გახლავართ საკრებულოს ფრაქცია „გახარია საქართველოსთვის“-ს წევრი,  
საბიუჯეტო საფინანსო კომისიის თავმჯდომარე, ასევე სივრცითი ტერიტორიული  
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრი. მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ბიუროს წევრი. საკრებულოს სხდომებთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული  
ზემოთ ხსენებულ კომისიებში შემოსული საკითხების განხილვასა და ბიუროს მუშაობაში.

ჩემი როგორც, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის  
საქმიანობა ძირითადად მიმართულია მუნიციპალიტრტის ბიუჯეტის ფორმირების, მასში  
განხორციელებული ცვლილებებისა და გაწეული მუშაობის შეფასებების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 11 სხდომაში, მათ შორის 2  
რიგარეშე. საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 5 სხდომაში, განხილულ იქნა 6 საკითხი.  
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 5 სხდომაში.  
საკრებულოს ბიუროს 9 სხდომაში.

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის ფარგლებში მქონდა რიგგარეშე გაფართოებული  
სამუშაო შეხვედრა სტიქიით მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად გამოყოფილი  
თანხების სწორად განაწილებასთან დაკავშირებით.

ჩვენი ფრაქციის თანამონაწილეობით სისტემატურად იმართება საკრებულოს წევრების  
შეხვედრები საკრებულოს სხდომებზე. შეხვედრები მქონდა როგორც მერიის სამსახურების  
წარმომადგენლებთან ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ არასამეწარმეო-არაკომერციულ  
იურიდიულ პირებთან, სადაც საუბარი ეხება წამოჭრილი პრობლემების მოგვარების გზებსა  
და შემდგომი სამოქმედო გეგმის დასახვას.

მუდმივი კომუნიკაცია მაქვს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურისა და ზუმის  
მოსახლეობასთან, ვმართავ მათთან შეხვედრებს როგორც უბნების მიხედვით ასევე  
ინდივიდუალურ ფორმატში, მუხურში ადგილზე ვესტუმრე საბავშვო ბაღს პარლამენტის  
მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად, გადავცით ბავშვებისთვის საჭირო სათამაშოები.  
ამომრჩევლებთან გასვლითი შეხვედრების რაოდენობა 29, ამ შეხვედრებზე მონაწილეობდა  
დაახლოებით 440 ამდე მოქალაქე. ასევე მქონდა მოქალაქეებთან შეხვედრა ოფისში და მათ  
ინდივიდუალურ მოთხოვნებზე შესაბამისი რეაგირება, ინფორმაციულობის  
უზრუნველყოფა. აქტიურად ვიყავი ჩართული სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ  
განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში, ასევე ვიყავი ჩართული სოფელ მუხურიში  
განთავსებული მეფუტკრეობის განვითარების ცენტრის ტერიტორიის პრობლემური  
საკითხის მოსახლეობის ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტაში, სოფელ მუხურში წყლის  
პრობლემური საკითხის მოგვარებაში, რამდენჯერმე მივმართე მერიას მუხურის ცენტრის  
მოწესრიგების შესახებ, ვარ ჩართული სოფელ ზუმში სკოლის მშენებლობის პროცესში, მე

როგორც საკრებულოს წევრის, მუშაობის მანძილზე უფლებამოსილების ვადის  
ამოწურვამდე, მაქსიმალურად ვიქნები ჩართული მოსახლეობის მიერ დაყენებულ სხვადასხვა  
პრობლემური საკითხების მოგვარებაში.

აჩიკო ცირამუა

თარიღი: 31.10.2022.